

COVID 19 -ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე



GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

პრეზენტაციის შინაარსი

- 1 COVID-19 და მოლოდინები გლობალურად
- 2 ვირუსის გავრცელება საქართველოში და რეაგირება
- 3 მთავრობის ქმედებები ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად
- 4 საქართველოს ეკონომიკაზე COVID-19-ის ზეგავლენების შეფასება



COVID-19 და მოლოდინები გლობალურად

COVID-19 მსოფლიო პანდემიად გამოცხადდა და უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო რამდენიმე კვირის წინ.

ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა სავარაუდოდ 2021 წლის დასაწყისში იქნება ხელმისაწვდომი. ქვეყნების შიგნით არსებული მდგომარეობის შემსუბუქებაზე დადებით გავლენას მოახდენს ეფექტური სამკურნალო საშუალება, რომელიც ამ ეტაპზე არ არსებობს.

არსებული კრიზისი მსოფლიოში ამცირებს, როგორც მიწოდებას (რადგან წარმოება შეზღუდულად ოპერირებს და მიწოდების ჯაჭვები შეფერხებულია), ისე მოთხოვნას (სოციალური დისტანცია, გაურკვევლობა, სამუშაო ადგილების დაკარგვა).

ვირუსის შეჩერების ვადებზე გაურკვევლობა ეკონომიკურ პროგნოზირებას ართულებს, რადგან არ არსებობს მსოფლიოში შესადარი ისტორიული მაგალითი. ზოგიერთი ანალიტიკოსის მოსაზრებით, ვირუსის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე მე-2 მსოფლიო ომის მასშტაბებს გაუტოლდება.

კრიზისის საპასუხოდ განვითარებულმა ქვეყნებმა (აშშ, ევროკავშირი და სხვ.) მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზებით ლიკვიდობა მიაწოდეს ფინანსურ ბაზრებს. ევროკავშირმა ფისკალური წესები შეაჩერა.


საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა წევრი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი თანხები გამოყვეს (IMF – 1 ტრილიონი დოლარი, WB – 12 მლრდ დოლარი, EBRD – 1 მლრდ დოლარი და სხვ.)



საქართველო ბიოლოგიური საფრთხეებისადმი მზაობის ინდექსით მსოფლიოს 195 ქვეყნიდან 42-ე ადგილს იკავებს

გლობალური ჯანმრთელობის დაცვის ინდექსის(GHS) მიხედვით, მსოფლიოს მზაობა ეპიდემიებისა და პანდემიების მიმართ დაბალია (საშუალო ქულა 40.2-ია 100 მაქსიმალურიდან).

საერთაშორისო მზაობა ბიოლოგიური საფრთხეებისადმი GHS ინდექსის მიხედვით



წყარო: The Global Health Security (GHS) Index 2019
შენიშვნა: ქვეყნების რეიტინგში #1 არის-საუკეთესო, ხოლო ქულაში 0 არის ყვლაზე ცუდი

საქართველოს მზაობა (52.0 ქულა) მაღალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (51.9) უტოლდება.

საქართველოს შედეგები GHS ინდექსში



მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით ვირუსის გავრცელების პრევენცია

საქართველო

73

შემთხვევა სულ

4,055

კარანტინის რეჟიმში

წყარო: stopcov.ge, 25 მარტი 12:30pm

10

გამოჯანმრთელებული

252

მეთვალყურეობის ქვეშ


უსაფრთხოების ზომები

- გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა
- საქართველოს საზღვრები ჩაიკეტა მგზავრებისთვის, ხოლო სატვირთო გადაზიდვებს შეზღუდვა არ ეხება
- შეწყდა სასწავლო პროცესი
- ოპერირებენ მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტები
- მარნეულსა და ბოლნისში გამოცხადდა კარანტინი
- არ იზღუდება მშენებლობა, წარმოება და ტრანსპორტი

თბილისში სატრანსპორტო გადაადგილების სიხშირემ იკლო

კრიზისამდე საშუალო აქტივობა


19:00 პარასკევი
(წითელი - გადატვირთული მოძრაობა)



წყარო: Google maps


აქტივობა 20 მარტი

19:00 პარასკევი
(მწვანე - თავისუფალი მოძრაობა)



საქართველოს მოსახლეობა იტალიასთან შედარებით ახალგაზრდაა

მოსახლეობის განაწილება ასაკის მიხედვით - საქართველო, იტალია, ჩინეთი



წყარო: მსოფლიო ბანკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი, China CDC
შენიშვნა: სიკვდილიანობის მაჩვენებელი ჩინეთის მონაცემებით, თებერვლის მდგომარეობით


საქართველოში ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები

დაავადება	რეგისტრირებული შემთხვევები საქართველოში, '000, 2018	Covid-19 სიკვდილიანობა ჩინეთში
კარდიოვასკულარული დაავადებები	143	11%
დიაბეტი	78	7%
ჰიპერტენზიული ავადმყოფობა	264	6%
ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობები	35	6%

წყარო: NCDC, გალტ & თაგარტი, China CDC, რეგისტრირებული შემთხვევები 15+ მოსახლეობაში
შენიშვნა: სიკვდილიანობის მაჩვენებელი ჩინეთის მონაცემებით, თებერვლის მდგომარეობით

კორონავირუსის გავლენა სასაქონლო ბაზრებზე

მსოფლიო სასაქონლო ინდექსები (იანვარი 2020 = 100)



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 22 მარტის მონაცემებით

ოქრო

- საქართველოს ექსპორტი 2019: \$72.8 მლნ (ჯამურის 1.9%)
- ოქროს ფასები სტაბილურია 2020 წლის დასაწყისიდან, რადგან უსაფრთხო აქტივად მიიჩნევა

სპილენძი

- საქართველოს რე-ექსპორტი 2019: \$651.6 მლნ (ჯამურის 17.3%)
- წლის დასაწყისიდან ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთან მსოფლიო მოთხოვნის ნახევარი ჩინეთზე მოდის

რკინა

- საქართველოს ფეროშენადნობების ექსპორტი 2019: \$303.0 მლნ (ჯამურის 8.0%)
- შენელებული მშენებლობების გამო რკინაზე გლობალური მოთხოვნა შემცირებულია, თუმცა ფასი ჯერჯერობით სტაბილურია

ნავთობი

- საქართველოს იმპორტი 2019: \$757.0 მლნ (ჯამურის 8.3%)
- 9 მარტს ნავთობის ფასი ბარელზე 30 დოლარამდე დაეცა, 1991 წლის შემდეგ ასეთი მკვეთრი დღიური ვარდნა არ ყოფილა. ფასების კლების პირდაპირი ეფექტი საქართველოსთვის პოზიტიურია, თუმცა ჯამური ეფექტი ნეგატიურია (რადგან ამცირებს ფულად გზავნილებს/ექსპორტს)

ეკონომიკური ღონისძიებები საქართველოში



ეკონომიკის სტიმულირების
ანტიკრიზისული გეგმა

1 მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური
რესურსი მოკლევადიან პერიოდში



ტურიზმთან დაკავშირებულ კომპანიებს გადაუვადდათ 4 თვის ქონების
და საშემოსავლო გადასახადები



4-დან 50 ნომრამდე სიდიდის დაახლ. 2,000 სასტუმრო მიიღებს საბანკო სესხის
6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას



ფასის სუბსიდირება: ბრინჯი, ფქვილი, მკარონი, ხორბალი, მზესუმზირის
ზეთი, შაქარი, რძის ფხვნილი და მისგან წარმოებული პროდუქტები, წიწიბურა
და ლობიო.



კაპიტალური ხარჯები დამატებით
გაიზრდება 300 მლნ ლარით



დღგ-ს დაბრუნებები გაორმაგდება
1,200 მლნ ლარამდე, დაგეგმილი 600
მლნ ლარის ნაცვლად



ეროვნულმა ბანკმა შეარბილა საბანკო
რეგულაციები



3 თვით გადავადდა საბანკო სესხების
მომსახურება



საერთაშორისო საფინანსო
ინსტიტუტებიდან (სავალუტო ფონდი
და სხვა) დაფინანსების მოზიდვაზე
დაჩქარდა მუშაობა




თბილისის მერიამ იჯარისგან
გაათავისუფლა ღია კაფეები 2020 წელს,
3 თვით იჯარისგან გაათავისუფლდნენ
მცირე/საშუალო ბიზნესები



საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის 3 შესაძლო სცენარი 2020 წელს

სცენარი	დაშვება	ვირუსის კონტროლი	ალბათობა	ეკონომიკური ზრდა
1 ოპტიმისტური	ეკონომიკური ვარდნა მარტი-მაისის პერიოდში, ივნისიდან გამოცოცხლება	აპრილი-მაისი	10%	2.1%
2 შუალედური	ეკონომიკური ვარდნა მარტი-მაისის პერიოდში, ივნისი-სექტემბერი გამოცოცხლება, ოქტომბრიდან ისევ ვარდნა	აპრილი-მაისი შეკავება, ოქტომბერში ვირუსის ხელახალი გავრცელება	50%	-2.7%
3 პესიმისტური	ეკონომიკური ვარდნა მარტიდან წლის ბოლომდე	2020 წელს ვერ შეჩერდა	40%	-6.0%

საქართველოს ეკონომიკური ზრდის სცენარები




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი



საგარეო დანაკლისის/დანაზოგების გაანგარიშება სცენარების მიხედვით

მოსალოდნელი წლიური დანაკლისი 2020, მლრდ აშშ\$



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

როგორ დავაკომპენსიროთ ეს დანაკარგი?



\$1.7-2.6 მლრდ საქონლის იმპორტის შემცირება



\$0.2-0.5 მლრდ დანაზოგი საზღვარგარეთ მოგზაურობის შეწყვეტიდან




\$0.2-0.4 მლრდ ეროვნული ბანკის ინტერვენციები



მინ. **\$1.0** მლრდ საგარეო დაფინანსება




საგარეო ბალანსის კორექტირება იმპორტის მნიშვნელოვანი შემცირებით იქნება შესაძლებელი



შიდა მოხმარების მესამედი სურსათია, რაც კრიზისის პირობებში ნაკლებად ეცემა


სამომხმარებლო კალათა საქართველოში, 2020



- საქართველოში მოხმარების მესამედი საკვებია (vs 8% ევროკავშირში)
- სურსათზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე ტურისტები საქართველოში ჩვენს შინამეურნეობებზე 5-ჯერ ნაკლებს ხარჯავენ
- სურსათის მოხმარება კრიზისის პირობებში უფრო ნაკლებად ეცემა, ვიდრე სხვა საქონელი/მომსახურება
- ეკონომიკური იზოლაციის პირობებში სურსათის ადგილობრივი წარმოება ეკონომიკური აქტივობისთვის სტიმულია

წყარო: სავსტატი

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები და წარმოება/იმპორტი/ექსპორტი შერჩეულ პროდუქტებზე საქართველოში, 2018




წყარო: სასტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ტონებში, კოეფიციენტები ითვალისწინებს არარეზიდენტების მოხმარებასაც, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი = წარმოება / (იმპორტი + წარმოება - ექსპორტი)

კრიზისულ პერიოდში კერძო ინვესტიციები მკვეთრად ეცემა


სახელმწიფო/კერძო ინვესტიციები საქართველოში



წყარო: საქსტატი, გალტ & თავარტი


სამშენებლო აქტივობა ეკონომიკური კრიზისის დროს მკვეთრად ეცემა

მშენებლობაში დასაქმებულები, ბიზნეს სექტორი
‘000 ადამიანი




წყარო: საესტატი
შენიშვნა: 2019 წელი წინასწარი მონაცემებით

სამშენებლო მასალების იმპორტი, მლრდ აშშ\$



პესიმისტურ სცენარში მოსალოდნელია უძრავი ქონების ფასებში წინა კრიზის მასშტაბის კორექცია, ამჟამად ფასების უფრო დაბალი დონის მიუხედავად


თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები



კრიზისის პირობებში მოსალოდნელია უძრავ ქონებაზე მოთხოვნის განმაპირობებელი ყველა ფაქტორის გაუარესება

- ეკონომიკური ზრდა/დასაქმება
- ურბანიზაცია
- ოჯახის ზომის შემცირება
- არარეზიდენტები
- ტურიზმი
- ფულადი გზავნილები
- ადგილობრივი/უცხოელი სტუდენტები
- იპოთეკები

წყარო: ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი



მყისიერი
ნეგატიური ეფექტი

სასტუმროები

რესტორნები

სავაჭრო ცენტრები

გართობა/დასვენება

ტრანსპორტი

დაყოვნებული
ნეგატიური ეფექტი

საფინანსო სექტორი

მშენებლობა

უძრავი ქონება

ვაჭრობა

წარმოება

განათლება

დადებითი
ეფექტი

ჯანდაცვა

ფარმაცია

ელექტრონული ვაჭრობა

სოფლის მეურნეობა


კომუნიკაციები

შიდა ტურიზმი



ტურიზმთან პირდაპირ დაკავშირებული დარგების წილი საქართველოს ეკონომიკაში უფრო მაღალია, ვიდრე დასაქმებაში


დასაქმება და მშპ სექტორების მიხედვით, 2018



ტურიზმსა და მომსახურების სხვა სექტორებში დასაქმებულია სამუშაო ძალის ნახევარი, როცა ეკონომიკაში მათი წილი 80%-მდეა. შესაბამისად, კრიზისს ეკონომიკაზე უფრო დიდი ნეგატიური გავლენა ექნება.

ტურიზმთან პირდაპირ დაკავშირებული მომსახურების სექტორები


ტურიზმთან პირდაპირ დაკავშირებული სექტორების წილი დასაქმებასა და მშპ-ში, 2018



წყარო: საქსტატი



საქართველოს სამუშაო ძალის სტრუქტურა,
(‘000 ადამიანი, 2019E)



წყარო: საესტატი, მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი



რა უნდა გააკეთოს მთავრობამ?

მოკლევადიანი ღონისძიებები

- მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური შემწეობა/კომუნალური გადასახადების დაფინანსება
- ქონების გადასახადის განახევრება
- საგარეო დაფინანსების მოზიდვა
- ბიზნესის რეგულაციების გადახედვა/შეჩერება
- საპენსიო შენატანების შეჩერება დროებით
- ფინანსური პირობების შერბილება ბანკებისთვის (კაპიტალის მოთხოვნები და სხვ.)
- საბანკო რეგულაციების შემდგომი გამარტივება
- საავადმყოფოების აღჭურვა/გადლიერება
- სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორების მხარდაჭერის გაგრძელება

საშუალო/გრძელვადიანი ღონისძიებები

- ახალი ეკონომიკური მოდელის შემუშავება მსოფლიოში შეცვლილი მდგომარეობის გათვალისწინებით
- არსებული თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების მაქსიმალური გამოყენება (DCFTA და სხვა ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები)
- დარგების იდენტიფიცირება/წახალისება, სადაც მეტნაკლებად გვაქვს წარმოების პოტენციალი:
 - შიდა ბაზრისთვის
 - ექსპორტისთვის
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა
- განათლების სექტორის ძირეული რეფორმა კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.

კვლევების გასაცნობად ეწვიეთ www.gt.ge

გალტ ენდ თაგარტი (Galt & Taggart)

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge

ევა ბოჰორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036

ლაშა ქავთარაძე

მარკეტინგის უფროსი | lashakavtaradze@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 7473



COVID 19 -ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე



GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES